# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

21 სექტემბერი
ხუთშაბათი
2023 წელი
№40 (9302)
ფასი 40 თეთრი


## საქართველოს ეკონომიკა წინ მიიწევს



**– ჩვენ წლევანდელი ბიუჯეტი დავგეგმეთ საკმაოდ კონსერვატიულად, ეს იყო 5%-იან ზრდაზე გათვლილი, მაგრამ სწორედ ჩვენი პოლიტიკის შედეგად და მაღალი ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით, ჩვენ ვაკორექტირებთ ბიუჯეტს, შეგვაქვს ცვლილებები და 500 მილიონი ლარით გაიზრდება წლევანდელი ბიუჯეტი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის სხდომაზე განაცხადა.**

– ჩვენ წლევანდელი ბიუჯეტი დავგეგმეთ საკმაოდ კონსერვატიულად, ეს იყო 5%-იან ზრდაზე გათვლილი, მაგრამ სწორედ ჩვენი პოლიტიკის შედეგად და მაღალი ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით, ჩვენ ვაკორექტირებთ ბიუჯეტს, შეგვაქვს ცვლილებები, 500 მილიონი ლარით გაიზრდება წლევანდელი ბიუჯეტი.

ამის თაობაზე ბატონი ფინანსთა მინისტრი მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის საზოგადოებას, თუ როგორ გადანაწილდება აღნიშნული 500 მილიონი. აქვე მინდა შევახსენო ყველას, რომ უკვე მესამე წელია ჩვენ დაგეგმილ ბიუჯეტს ვცვლით და ვზრდით. 2021-ში ასე მოხდა, ჩვენ ორჯერ გავზარდეთ ბიუჯეტი, ასევე შარშან - 2022 წელს და ასევე წელს, 500 მილიონი ლარით იზრდება ბიუჯეტი. ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამების დაფინანსება მოვახერხეთ ბოლო წლებში, იგივე, რაც მე ჩამოვთვალე, სკოლების რეაბილიტაციის პროგრამა. რა თქმა უნდა, ამას ვერ შეძლებდა სახელმწიფო, 880 სკოლა, 1000-ზე მეტი ბაღი, სოციალური დახმარებები გავზარდეთ, თითოეულ სოციალურად დაუცველ ადამიანზე 200 ლარის ოდენობით გაიცემა დახმარება, ეს არის წელიწადში 500 მილიონ ლარზე მეტი. ხელფასები გავუზარდეთ პოლიციელებს, ჯარისკაცებს, ყველა საჯარო მოხელეს. პოლიციელებს და ჯარისკაცებს 40%-ით გაეზარდათ ჯამში ხელფასები. ეს პროცესი, რა თქმა უნდა გაგრძელდება, იანვარში კიდევ გაეზრდება ყველა საჯარო მოხელეს ხელფასი. ჯამში პოლიციას და ჯარს გამოუვა 50%-იანი ზრდა ბოლო სამ წელიწადში და საჯარო მოხელეებს 30%-იანი ზრდა.

ჩემი გადაწყვეტილებით, ფინანსური დავალიანების მიზეზით სტატუსშეჩერებულ 30 000-მდე სტუდენტს არსებული დავალიანებები გაუნულდებათ!

ჩვენ ასევე დავაფინანსებთ სხვა მნიშვნელოვან პროექტებს, რომელიც აქტიური ტემპებით მიმდინარეობს. იქნება ეს ინფრასტრუქტურა, სოციალური მიმართულება თუ ჯანდაცვა. იგივე გაზრდილი ბიუჯეტიდან დაფინანსდება ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვები, რომლებიც გაიგზავნებიან უცხოეთში, უმაღლესი დონის კლინიკებში. უკვე დაწყებულია პროცესი და ამას მინისტრი აკონტროლებს და ხელმძღვანელობს. ბიუჯეტიდან დამატებით თანხებს მივმართავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართულებით, განათლების მიმართულებით, ეკონომიკის, ჯარის მიმართულებით. ჩვენ დაკორექტირებულ ბიუჯეტს წარვუდგენთ პარლამენტს. ჩვენ უკვე დაწყებული გვაქვს მუშაობა ახალ, 2024 წლის ბიუჯეტზე. ამის თაობაზე მოგვიანებით მოგახსენებთ. უკვე მქონდა რამდენიმე შეხვედრა ფინანსთა მინისტრთან და მის გუნდთან, ასევე - ეკონომიკური საბჭოს ფორმატშიც განვიხილეთ ბიუჯეტის პირველი ვერსია და თვის ბოლოს, დაახლოებით 29 სექტემბერს წარვუდგენთ პარლამენტს. გვექნება საინტერესო სიახლეები, მაგრამ ეს არ იქნება საბოლოო ვერსია, ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას და ოქტომბერში წარვუდგენთ განახლებულ ვერსიას პარლამენტს და ნოემბერში უკვე მესამე ვერსიას წარვუდგენთ პარლამენტს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა მთავრობის ვალი არის შემცირებული „მინდა შევახსენო ყველას, 2 წლის წინ მთავრობის ვალი 60%-ზე მეტს შეადგენდა მშპ-თან მიმართებით, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

– ეს პროცესი ძალიან აქტიურად დავიწყეთ, შემცირების პროცესი და თითქმის 38%-ზე არის ჩამოსული მთავრობის ვალი. დეფიციტი არის, რა თქმა უნდა, შემცირებული, აღარ გავიმეორებ, ყველას მოგეხსენებათ კარგად, რომ სიღარიბე და უმუშევრობა არის ისტორიულ მინიმუმზე. ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული რეზერვები ისტორიულ მაქსიმუმზეა, 5,5 მილიარდ დოლარს გადააჭარბა“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ასევე მინდა ვთქვა, რომ, რაც სასიხარულოა, ბოლო 10 წელიწადში ჩვენი მოქალაქეების დეპოზიტები, რომელიც განთავსებულია კომერციულ ბანკებში, თითქმის გაათმაგებულია. მე ამას წინათ დავაანონსე, ვთქვი ამის თაობაზე, მოგაწოდეთ ინფორმაცია, გაათმაგებულია და სულ სხვა ეკონომიკა არის წელს, ვიდრე იყო 10 წლის წინ. კომერციული ბანკების აქტივები, შედარებისთვის მინდა გითხრათ, რომ თითქმის 14 მლრდ ლარი იყო 2012 წელს და დღეს არის 70 მილიარდზე მეტი. 70 მილიარდი, ეს, რა თქმა უნდა, სულ სხვა ეკონომიკაა, საერთოდ სხვა მოცემულობაა. ამიტომ არის, რომ იგივე დეპოზიტები ვახსენე, თუ იყო 2 და 3 მილიარდი 2012 წელს, ახლა არის 22 მილიარდი დოლარში; ლარში, ჯამურად, 48 მილიარდი. ეს არის შედეგი ჩვენი გუნდის, ჩვენი მმართველი პარტიის დაწყებული პოლიტიკის, რამაც ეს კონკრეტული, ხელშესახები შედეგები მოიტანა. ეს არის მშვიდობის და სტაბილურობის ნაყოფი. სხვა შემთხვევაში, ბუნებრივია, ჩვენთან, კიდევ ვიმეორებ, არავითარ ეკონომიკურ ზრდაზე საუბარი არ და ვერ იქნებოდა. მე მახსოვს, კიდევ შევახსენებ ყველას, რომ დეფოლტზე იყო საუბარი 3 წლის წინ, როდესაც ჩვენს მთავრობაში მოხდა ცვლილებები და ასეთი მდგომარეობა გვაქვს დღეს, მეგობრებო. ყველაფერი იქნება ძალიან კარგად“, - განაცხადა პრემიერმა.

## პარლამენტის არჩევნებისთვის მზადება დაიწყო




**საარჩევნო** ადმინისტრაცია აგრძელებს 2024 წლის პარლამენტის არჩევნებისთვის მზადებას და საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების მოსახლეობისთვის გაცნობას.

ამჯერად, საარჩევნო ელექტრონულ ტექნოლოგიებს „ბორჯომ-ქალაქობა 2023“-ის დღესასწაულთან დაკავშირებით გამართული ღონისძიების მონაწილეები გაეცნენ. ინფორმირების კამპანიის შესახებ ვესაუბრეთ ამომრჩევლებს. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მოქალაქეებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების, მისი უპირატესობების და მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ. ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონდა საშუალება პრაქტიკაში გამოეცადა ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის ელექტრონული აპარატები.

ამომრჩეველთა ინფორმირება საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. არჩევნების მოდერნიზების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობას ჰქონდეს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია ტექნოლოგიური სიახლეებისა და იმ პროცედურების შესახებ, რომელიც საარჩევნო რეფორმის ფარგლებში 2024 წლის არჩევნებზე მათ საარჩევნო უბნებზე დახვდებათ.

## ახალი სასწავლო წელი დაიწყო



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები **გიორგი ფერაძე, ნიკოლოზ კიკნაძე** და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **იზოლდა ლომიძე** ახლადრეაბილიტირებულ თანამედროვე სტანდარტებზე მორგებულ №4 საჯარო სკოლას ესტუმრნენ და სასწავლო პროცესის დაწყება მასწავლებლებს და მოსწავლეებს მიულოცეს.

**– ძალიან მნიშვნელოვანი დღეა – დაიწყო ახალი სასწავლო წელი! მინდა მივულოცო ყველა მოსწავლეს და ჩვენს პედაგოგებს სასწავლო წლის დაწყება. განსაკუთრებით ვულოცავ პირველკლასელებს, რომლებმაც დღეს პირველად შეაღეს სკოლის კარი. თქვენთვის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება. მინდა თითოეულ თქვენგანს წარმატებები ვუსურვო. თქვენი სკოლის კედლებში მიღებული განათლება უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის,** - განაცხადა **ოთარ არბოლიშვილმა.**



**როგორც სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი ბორჯომის მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღში განახლდა.**

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაწყება აღსაზრდელებს და საბავშო ბაღებში დასაქმებულ პერსონალს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა,** მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **მერაბ იობაშვილმა** და ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელმა **ნინო ბენდელიანმა** პირადად მიულოცეს და თერთმეტივე საბავშო ბაღს საჩუქრად საბავშვო ლიტერატურის წიგნები გადასცეს.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ აღსაზრდელებმა და მასწავლებლებმა კომფორტულ და უსაფრთხო გარემოში შეძლონ სასწავლო-სააღმზდელო პროცესის წარმართვა. მინდა წარმატებული სასწავლო წელი ვუსურვო აღსაზრდელებს და მათ მასწავლებლებს, - განაცხადა **გიორგი ტაბატაძემ**

## გიწვევთ პროექტის საჯარო განხილვაზე




**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“ აქვეყნებს დაგეგმილი საქმიანობების სკოპინგის ანგარიშებს:**

■ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანსა და სოფელ დიდ მიტარბში წყალარინების სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს აქვეყნებს.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2023 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 ან გაუგზავნოთ ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge

■ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ბმული - http://ei.gov.ge/…/info/c8b42fe7-7634-40d5-b428-aa58e2340f53

■ დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა ჩატარდება: 2023 წლის 22 სექტემბერი, 14:00 საათზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანის კინოთეატრის შენობაში.

## კეთილი გულით მოძღვნილი, მცირედიც შეიწირების...

მეცხრე თვე მთავრდება და გაზეთ „ბორჯომს“ გამოცემა არ შეუწყვეტია, რედაქციის მცირერიცხოვანმა კოლექტივმა (სულ ხუთი ადამიანი შემორჩა) ცხრა თვის მანძილზე მხოლოდ სამჯერ აიღო სიმბოლური ხელფასი 150-დან 300 ლარამდე. რედაქციის შემოსავლების 90 პროცენტი გაზეთის პოლიგრაფიულ ხარჯებს ხმარდება. (ტირაჟის დაბეჭდვას 350-400 ლარი ესაჭიროება), რომ არა სპონსორები და შემომწირველები, ალბათ, გაზეთი დაიხურებოდა. სერიოზული პრობლემების მიუხედავად ვრჩებით ჩვენი გაზეთის 1300 ხელისმომწერის ერთგულ გულშემატკივრად. წლის ბოლომდე ულალატოდ შევასრულებთ პირობას და გაზეთის ყველა ნომერს შეუფერხებლად მიიღებენ.

დღეს ჩვენი ერთგული გულშემატკივრების, სპონსორებისა და მკითხველების შემოწირულობებით ვარსებობთ. ყველას დიდი მადლობა ჩვენდამი გამოჩენილი მხარდაჭერისადმი.

ამჯერად იმ ადამიანებს გაგაცნობთ, რომლებმაც რამდენიც შეეძლოთ იმდენი თანხით აღმოგვიჩინეს თანადგომა. ნათქვამია: „კეთილი გულით მოძღვნილი, მცირედიც შეიწირებისო“.

**აი, ისინიც:**

**ბაკურიანის სასტუმრო „აპოლონის“ დირექტორი ოთარ გოცირიძე.**

**პენსიონერი ნანული დევიძე;**

**თბილისელი პენსიონერი პედაგოგი ნათელა ლომიძე;**

**ბორჯომის ავტოსადგურის კოლექტივის დირექტორი ჯუმბერ ხიჯაკაძე.**

**უღრმესი მადლობა მეგობრებო!**

„ბორჯომის“ აქტუალური ინტერვიუ

# ბორჯომში მასწავლებელთა კვალიფიკაცია დამაკმაყოფილებელია!

**ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, სკოლებში მიმდინარე პროცესებსა და სიახლეებზე ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს ქალბატონ იზოლდა ლომიძეს ვესაუბრეთ.**
**ინტერვიუში თქვენ გაიგებთ რომელ სკოლებში იგეგმება სარეაბილიტაციო სამუშაოები და როგორ წარიმართება სასწავლო პროცესი? რამდენი პირველკლასელი ჰყავს ჩვენს რაიონს და როგორია სკოლებში გამოცხადებული კონკურსის შედეგები?**



● **ქალბატონო იზოლდა, რა სიახლეებით ხვდება ახალ სასწავლო წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები?**

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის 20-მა საჯარო სკოლამ შეუფერხებლად დაიწყო 15 სექტემბრიდან



ახალი სასწავლო წელი. თითოეულ სკოლას დაგეგმილი ჰქონდა ღონისძიებები, განსაკუთრებული ემოციებით შეხვდა სასწავლო წლის დაწყებას ახლადრეაბილიტირებული ბორჯომის №4 საჯარო სკოლა. მოსწავლეები 2 წელია ალტერნატიულ ფართში სწავლობდნენ. ახლა უკვე განახლებული სკოლა, ყველა საჭირო რესურსით აღჭურვილი დახვდათ და რეაბილიტირებულ სკოლაში წარმატებით გააგრძელებენ განათლების მიღებას. გარდა ამისა ყველა სკოლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია, მოწესრიგებული გარემოა. ბაკურიანის საჯარო სკოლის მშენებლობაც იწყება, სკოლა განთავსებულია ფართში, სადაც ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი, რომ შეუფერხებლად გააგრძელონ სასწავლო წელი. ამასთან ბორჯომის №6 საჯარო სკოლაში იწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები 1 ოქტომბრიდან და ამ სკოლის მოსწავლეები სწავლას გააგრძელებენ №3 საჯარო სკოლის შენობაში, მეორე ცვლაში.

● **რა ეტაპზეა სკოლების ავტორიზაციის პროცესი?**

- ამჯერად მიმდინარეობს საქართველოს მასშტაბით სკოლების საყოველთაო ავტორიზაცია, რა თქმა უნდა, ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლებიც ჩართულია ამ პროცესში, პირველ ეტაპზე 5 სკოლა გადის ავტორიზაციას: ბორჯომის №3, წაღვერის, ტაძრისის, კორტანეთის, ახალდაბის საჯარო სკოლები, მათ გააგზავნეს უკვე მონაცემები და ორმა სკოლამ №3 და კორტანეთის საჯარო სკოლამ ავტორიზაცია წარმატებით გაიარა. ამ დღეებში ველოდებით საბჭოს წევრებს ტაძრისისა და ახალდაბის სკოლებში, შეისწავლიან არსებულ მდგომარეობას და გაიტანენ საბჭოზე განსახილველად. ასევე მზადაა წაღვერის საჯარო სკოლაც, რომელიც ელოდება ავტორიზაციის საბჭოზე გასვლას. ავტორიზაცია ახალი გამოწვევაა სკოლებისათვის. შესაბამისი, თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა, სხვა სკოლებსაც შეუძლიათ ავტორიზაციის წინასწარი განაცხადის გაკეთება, ამის სურვილს რამდენიმე სკოლა გამოთქვამს.



ახლადრეაბილიტირებული ქალაქის №4 სკოლა

● **რამდენი პირველკლასელი მოსწავლეა რეგისტრირებული ჩვენს რაიონში?**

- 2023 წელს, ჩვენთან 320 პირველკლასელი მიუჯდა სკოლის მერხს. მათ უკვე მიღებული აქვთ სწავლისთვის აუცილებელი რესურსები, გადაეცათ ბუქები. კლასის დამრიგებლებს გადაეცათ პორტაბელური კომპიუტერი მოსწავლეებთან მუშაობისათვის და ისინი აქტიურად გამოიყენებენ ელექტრონულ რესურსს სასწავლო პროცესში.

დასრულდა ყველა სახელმძღვანელოს მიღების ეტაპი, ყველა სკოლას გადაეცა სახელმძღვანელოები და შესაბამისად ახალი სახელმძღვანელოები დახვდათ მოსწავლეებს სკოლაში.

● **სკოლებმა გამოაცხადეს ვაკანსიები და მიმდინარეობდა კადრების შერჩევა. როგორ შეაფასებთ კონკურსის შედეგებს?**

- კვალიფიციურ კადრებზე ზრუნვა მთავარი საკითხი და ამოცანაა სკოლებისათვის. მიმდინარეობდა შესარჩევი კონკურსები. სკოლებმა აიყვანეს უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლები.

სამწუხაროდ, არის ისეთი დეფიციტური კადრები, როგორიცაა ფიზიკა, სპორტი, ხელოვნება. ჩვენ ვზრუნავთ, რომ აღნიშნული საკითხი იყოს სხვადასხვა საშუალებებით მოგვარებული.

ყველა საჯარო სკოლას კი უკვე ჰყავს ექიმი და ექთანი, აქვს კეთილმოწყობილი სამედიცინო კაბინეტი. ეს არის მოსწავლეების უსაფრთხო გარემოზე ზრუნვა და მათი დაცვა. ისინი კონკურსის წესით დაინიშნენ და საუკეთესო კადრებია შერჩეული.

მიხარია, რომ ბორჯომის საჯარო სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია ძალიან მაღალია, თითქმის ჩვენ უკვე აღარ გვყავს უსტატუსო მასწავლებლები, ისინი მუდმივად ზრუნავენ ცოდნის ამაღლებასა და განვითარებისათვის. მათი შრომა ფასდება კიდეც, პრემიერ-მინისტრის **ირაკლი ღარიბაშვილის** ინიციატივით 27 სექტემბერს მოხდება ღირსეული, დამსახურებული მასწავლებლების გამოვლენა და დაჯილდოვება.

● **იმისათვის, რომ ბორჯომში აშენებულიყო პროფესიული სასწავლებელი თქვენ დიდი წვლილი შეიტანეთ? როგორია თქვენი მოლოდინი?**

- პროფსასწავლებელის მშენებლობის პროცესი დასასრულისკენ მიდის. ეს ძალიან მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ბორჯომისათვის. ჩემთვის საამაყოა საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მალე პირველ მსურველებს მიიღებს. მართლაც სხვა დამოკიდებულებაა, როდესაც უშუალოდ იზრუნე, რომ ბორჯომს ჰქონოდა პროფესიული სასწავლებელი, რომელიც ქალაქს სხვა მნიშვნელოვან დატვირთვას მისცემს.

● **არსებული მონაცემების მიხედვით რამდენი ბორჯომელი აბიტურიენტი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში? მოიპოვა სახელმწიფო გრანტი?**

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის სკოლებიდან სტუდენტი გახდა 192 აბიტურიენტი. 5-მა აბიტურიენტმა მოიპოვა 100%-იანი 1-მა, 70, ხოლო 20 აბიტურიენტმა 50 პროცენტიანი გრანტი.

● **მიულოცეთ სწავლის დაწყება მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებსა და თითოეულ ბორჯომელს?**

- მინდა წარმატებები ვუსურვო ჩვენს ყველა მასწავლებელს, რადგან მათ მხრებზე დგას სკოლა. ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ და ვუსურვებ მაღალნაყოფიერ შრომას. ამასთან, სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ყველა მოსწავლეს, ყველა პირველკლასელს, მათ მშობლებს და სასკოლო საზოგადოებას. სასიამოვნო და მრავალფეროვან საგანმანათლებლო წელს ვუსურვებ.

ესაუბრა **იზა იანვარაშვილი**

პრობლემების კვალდაკვალ

# ზღვისპირეთში დასვენება ძვირი სიამოვნებაა

**მას შემდეგ,** რაც პანდემიის ურთულესი წლები გამოვიარეთ, მეორე წელია, რაც აგვისტოს ცხელი დღეების გატარებას ოჯახთან ერთად მთის კურორტიდან ზღვის კურორტზე ვცდილობ. წელსაც, აგვისტოს ბოლოდან შვებულების ექვსი დღე ურეკში გავატარე. პატარა, მყუდრო საკურორტო ქალაქში თითქოს ყველაფერი თვალწინაა გადაშლილი მაღაზიებიდან დაწყებული კვების ობიექტებით დამთავრებული. სიმართლე გითხრათ, წინა წელსაც სწორედ ურეკში ვისვენებდით და ვიზუალურად საკურორტო დაბა შეცვლილი ნამდვილად არ მეჩვენა, თუმცა რაც თვალში პირველად მომხვდა, გახლდათ ახალი ნაგვის ურნები, რომელშიც მხოლოდ პლასტმასის ჭურჭლის ჩასაყრელად გამოიყენება. აღნიშნული ურნები არც ისე გასაოცარი შესახედაობის კონსტრუქციისაა, თუმცა მოსახლეობასაც ეტყობიდა, რომ მათ შეგნებამდე დასულა სეპარირების ახალი რეფორმა, რაზეც პლასტმასის ჭურჭლისათვის განკუთვნილი ურნების დანახვა სწორედ ამას მეტყველებდა. აი კიდევ ერთი თვალშისაცემი რამ, ჩემთვის ერთი კურორტიდან მეორე კურორტზე ჩასული ადამიანისთვის კვების ობიექტებში არსებული ფასების შედარება და იქ მომსახურე პერსონალის მუშაობა გახლდათ. ერთ-ერთ რესტორანში, რომელსაც ღია ვერანდა აქვს და ფაქტიურად, საღამოს საათებში ძნელია ერთი მაგიდა მაინც თავისუფალი ნახოთ, ჩემ ოჯახს, მეგობრებთან ერთად მოგვიწია შესვლა. გამაოცა მომსახურე პერსონალის მუშაობამ, მიმტანები არ ჩერდებოდნენ, ელვის სისწრაფით იწერდნენ შეკვეთებს და საკმაოდ სწრაფადაც უწევდათ შეკვეთის მოტანაც. აი ფასებს კი რაც შეეხება, ფასებზე გაოცების მეტს ვერაფერს გეტყვით, უბრალოდ ბორჯომის ყველა კვების ობიექტთან შედარებით გარკვეული სახის საკვებზე იმდენად მაღალი ფასები აქვთ, რომ კითხვა გამიჩდა, კი მაგრამ იქაური კვების ობიექტების მესვეურებმა, ხომ კარგად იციან, რომ მათ კურორტზე, მხოლოდ შეძლებული ფენა არ დადის და ხომ შეიძლება რომ საშუალო ფენის წარმომადგენელსაც გაუჩდეს სურვილი ერთხელ მაინც შევიდეს მათ დაწესებულებაში და მთელი დასვენებისთვის განკუთვნილი თანხა იქ არ დატოვოს?

ჩემთვის საკმაოდ მძიმე აღმოჩდა ერთი ფაქტის მოსმენა, რაზეც აუცილებლად მინდა გესაუბროთ და რომელსაც იმავე ობიექტზე წავაწყდი. საქმე იმაშია, რომ საკმაოდ ხმამაღალი



მუსიკის ფონზე, როგორც ჩანს რესტორნის მეპატრონის მიერ მომსახურე პერსონალის ლანძღვაგინებამ უბრალოდ გამაოცა. ჩვენი მაგიდა რესტორნის სამზარეულოს სიახლოვეს იდგა და უბრალოდ გაოგნებული დავრჩი, როდესაც სამზარეულოს სიახლოვეს ნამტირალევი ქალბატონი შევნიშნე, ვერ გეტყვით, იმ ხელმძღვანელი მამაკაცის უკმყოფილება რამ გამოიწვია, თუმცა ვერანაირი დასკვნა ვერ გამომაქვს, იმ სივრცის სიახლოვეს, ხმამაღლი მუსიკის მიუხედავადაც კი, მართლაც ფუტკრებივით მომუშავე პერსონალის და მითუმეტეს ქალბატონის მიმართ ასეთი ხმამაღალი, უხამსი და ამაზრზენი სიტყვებით ლანძღვის უფლება რატომ უნდა მისცე ადამიანმა და მითუმეტეს მამაკაცმა თავს? ღმერთო, მართლაც რამდენი დამცირების ფასად უჯდებათ ადამიანებს საკუთარი შრომა და ორი თეთრის შოვნა?

აი, რამდენიმე დღის შემდეგ კი კიდევ ერთი საოცარი მომსახურების მომსწრე გავხდი. სადღაც დღის პირველი ნახევარი იქნებოდა, როდესაც კიდეც ერთ კვების ობიექტზე მოგვიხდა სადილობა და ჰოი საოცრებავ, დაახლოებით 10 სტუმრით სავსე მაგიდასთან მხოლოდ ერთი მიმტანი მუშაობდა. შეკვეთა მიიღო, თუმცა როდესაც ქვითრის მოტანის დრო დადგა, აღმოვაჩინეთ, რომ ერთ-ერთი პროდუქტი, რომელიც შევუკვეთეთ და არც კი მოუტანია უკვე ამობეჭდილ ქვითარში ჰქონდა შეტანილი. ისე დაიბნა, რომ აღარ იცოდა, რა ექნა, სულ ბოდიშები იხადა და ქვითარი ჩაასწორა კიდეც.

აი, ეს არის ბატონებო, კიდევ ერთი დამქირავებლის მიერ მართლაც თეთრებზე მომუშავე გადაღლილი ადამიანების ნერვებზე თამაში, რომელსაც კლიენტთანაც თვითონ მას უწევს ბოდიშის მოხდა, რადგანაც მისი გადაღლილობის გამო ვერ ასწრებს შესაბამისი შეკვეთის ვერც დროზე მიტანას და ვერც სწორად აღრიცხვას.

და ბოლოს, ვიტყვი ერთ და ყველაზე მნიშვნელოვანი რამეს, რაც უკვე უცხო არ არის და რაც ბევრი ადამიანის აღშფოთების მიზეზია, და პირადად ჩემიც. ალბათ ვინც კი გასულ წელს და წელსაც იმყოფებოდა ზღვისპირა ქალაქებში, შენიშნავდით, როგორც ბინებზე, ასევე ყველა სხვა ობიექტზე მხოლოდ რუსულენოვან წარწერებს. მე პირადად, არც ერთი ქართული წარწერა აღარ შემხვედრია. და კიდევ, ქუჩაში გაივლით თუ სანაპიროს მიმდებარედ, ქართულზე მეტად რუსულ ენაზე მოსაუბრე ადამიანებს შეხვდებით. ხომ გაგიგიათ, ადამიანი შენ თავს რომ დამართებ, იმდენს სხვა ვერ დაგმართებსო და ჩვენი საქმეც ასეა. სხვების კეთილდღეობის ფასად საკუთარს უკან ვწევთ და შედეგიც სახეზეა. არც ერთი ქართული წარწერა აღარსად დატოვეს და რომ კითხოთ, ევროპისკენ გვაქვს გეზი. ჰოდა, ევროპელების უმრავლესობა ხომ მაინც ინგლისურად საუბრობს უმეტეს წილად და ე.წ. „ევროპელებს“, უკვე იქ, ზღვისპირა ქალაქებში ჩასულებს, მათაც კი ინტერნეტის საძიებო სისტემაში უწევთ აწი რუსული წარწერების თარგმნა. აი, ასეა ჩემო ბატონებო, იქმნება შთაბეჭდილება, რომ შენ ქვეყანაში ხარ და თანაც არ ხარ, სამწუხარო რეალობა სწორედ ეს არის.

**ნატო მელიქიძე**

## წიგნის თარო

# მეფეთა ცხოვრების ბედი






**ამ სათაურით შესანიშნავი მეცნიერული ნაშრომი გამოსცა ჩვენმა თანამემამულემ, ჩვენი რედაქციის დიდმა მეგობარმა, ისტორიულ-მეცნიერებათა დოქტორმა ბატონმა ვახტანგ გოილაძემ, ბატონ ვახტანგთან მრავალი წლის მეგობრობა მაკავშირებს და ხშირად მანებივრებს თავისი შესანიშნავი გამოკვლევებით.**

ახალი მონოგრაფია ეძღვნება ქართველ მეფეთა ცხოვრებას, როგორც მონოგრაფიის რედაქტორი, აკადემიკოსი **როინ მეტრეველი,** რეცენზენტები, ისტორიულ-მეცნიერებათა დოქტორები **გონელი არახამია** და **გიორგი ჭეიშვილი** წერენ **„მონოგრაფიაში განხილული საკითხები მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც XX საუკუნის დამდეგს ძველი ქართული საისტორიო წყაროებისადმი დანერგილი ჰიპერკრიტიკული მიდგომა 1984 წელს პროფესორმა რ. კიკნაძემ „დაძლეულად" გამოაცხადა და განაცხადა XI საუკუნეში მოღვაწე ლეონტი მროველისადმი მიკუთვნებულ „მეფეთა ცხოვრების" ცნობებს, მეტი ნდობით მოვკიდებოდით, უარი გვეთქვა XX საუკუნეში დამკვიდრებული თვალსაზრისისათვის, თითქოს „მეფეთა ცხოვრების" ძირითადი წყარო ,,მოქცევაი ქართლისაის" ქრონიკა იყო.**

**ავტორის მოთხოვნა კატეგორიულია, „მეფეთა ცხოვრებას" დაუბრუნდეს ის ღირსება, რაც ჰიპერკრიტიკიზმის დარერგვამდე ჰქონდა.**

ბატონი ვახტანგი თავის მონოგრაფიაში სხვა აქტუალურ საკითხებსაც განიხილავს, რაც კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოსჭვივის მისი საკითხისადმი ღრმად მეცნიერულ მიდგომაში.

ბატონი ვახტანგი 140-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთაგან 20 მონოგრაფია და ბროშურაა, არის ათეულობით საგაზეთო და საენციკლოპედიო წერილის ავტორი, იკვლევს საქართველოს ადრეფეოდალურ პოლიტიკურ და ეკლესიის ისტორიას. საქართველოს ურთიერთობას ბიზანტიასთან, სასანიანთა ირანთან, ძველ ჰუნურ-თურქულ სამყაროსთან და ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ოსურ გაერთიანებებთან.

ვახტანგ გოილაძე ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელია და ლექციებს კითხულობს დავით გურამიშვილის უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებელში.

მონოგრაფია მეტად მკაფიოდ, ადვილად გასაგები ენითაა დაწერილი და მეტად საინტერესოდ იკითხება.

ვულოცავთ ბატონ ვახტანგს ქართველთათვის მეტად საინტერესო ნარკვევების ციკლის გამოცემას.

**ვალერიან ლომიძე.**

## საინტერესო თემაზე

# რატომ უნდა დავიცვათ ბუნება?



**რას მოგვცემს** გარემოს დაცვა და რა საფრთხის წინაშე ვართ მისი დაუცველობით? ამ კითხვებზე პასუხი თითქმის ყველას გვაქვს და ვიცით, როგორ უნდა მოვიქცეთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღესაც ვდგავართ ამ ძალიან მძიმე და შემაშფოთებელი პრობლემის წინაშე...

ადამიანებს თავისი არსებობის პირველივე დღიდან არსებობისთვის ჭირდებოდათ საკვები, ჰაერი, თავშესაფარი, რასაც მათ მხოლოდ ბუნება აძლევდა, რის გამოც დიდი ხნის მანძილზე ბუნება ადამიანებთან ერთად არსებობდა და მათ შორის დიდი ჰარმონია იყო.

მაგრამ რაც მეტად განვითარდა ადამიანი, გამოიგონა ათასობით ტექნიკა, რათა შეემსუბუქებინა საკუთარი შრომა და უკეთესი გაეხადა მომავალი. ერთის მხრივ, ეს გამოგვივიდა კიდეც, მაგრამ ყველაფერმა ამან - ავტომობილებისა და ფაბრიკა-ქარხნების მიერ გამოყოფილმა გამონაბოლქვმა, ოზონის შრის შეთხელებამ, ბუნებრივი რესურსების არარაციონალურმა გამოყენებამ, ტყის მასივის შემცირებამ გამოიწვია ბუნებრივი კატასტროფები, წყლის და ჰაერის დაბინძურება, უამრავი განუკურნებელი დაავადება, ცხოველებისა და მცენარეების უნიკალური ჯიშების გადაშენება, გლობალური დათბობა, რომელიც დიდ საფრთხეს უქმნის მომავალს.

ნოდარ დუმბაძე დედამიწას ცოცხალ სხეულს ადარებს, რომელიც დაგორავს, დაიარება, ხედავს, სუნთქავს, ესმის, სტკივა, უყვარს, ძულს, უხარია და წყინს. ამიტომ, ხან კვნესის, ხან ოხრავს, ხან ბორგავს, ხან ტირის... ჩვენ კი შესეული ვართ ამ ვეებერთელა სულდგმულს მკბენარებივით, ვჩიჩქნით, ვწიწკნით, ვგლეჯთ, ვკბენთ, ვაწუხებთ და ისე ვაწუხებთ ხანდახან, რომ ველარ ითმენს, შეაჟრჟოლებს ხოლმე ზურგს დაშავებული ჯაგლაგივით, აგვყრის, დაგვყრის ბუზებივით, დაგვინგრევს, მოგვშლის, წაგვილეკს საბუდარს, ჩვენ კი გონს მოსული ისევ შევესევით, ისევ დავუწყებთ ჩიჩქვნას, ძიძგვნას, კბენას ვიდრე კვლავ არ გაიღვიძებს გოლიათი, კვლავ არ მოისრესს თვალებს და არ შეგვაძრწუნებს, რათა ყველაფერი თავიდან დაიწყოს, მაგრამ რამდენხანს გაგრძელდება ასე? რამდენ ხანს გაუძლებს ეს გოლიათი ყველაფერ ამას? არავინ იცის... ბუნებას არ ჭირდება ადამიანები, ადამიანებს ჭირდებათ ბუნება.

**ბუნების გადარჩენისთვის გადადგმული პირველი ნაბიჯი მოსახლეობაში ეკოლოგიური თვითშეგნების ამაღლებაა, ამიტომ მოგიწოდებთ ყველას:**

**ნუ დაანაგვიანებთ გარემოს!**

**გაუფრთხილდით ფლორას და ფაუნას!**

**ნუ დატოვებთ ტყეში დანთებულ კოცონს!**

**იზრუნეთ გარემოს გამწვანებაზე, სანამ ეს გოლიათი საბოლოოდ არ შეგვაჯანჯღარებს!...**

**გახსოვდეთ:ეს, სამყარო მამებისგან კი არ გადმოგვეცა, არამედ შვილებისგან გვაქვს ნათხოვარი!**

## ვისწავლოთ ჩვენი ხეობის ისტორია

# ცემი და ისტორიული ეიფელის ხიდი

**სოფელი ცემი** მდებარეობს ბორჯომის ხეობაში ვიწროლიანდაგიან ელექტროფიცირებულ რკინიგზის ხაზის გასწვრივ, ბორჯომიდან რკინიგზით 17 კილომეტრია, ხოლო საავტომობილო გზით - 12 კილომეტრი, ზღვის დონიდან 1100-1220 მეტრის სიმაღლეზე. იგი განლაგებულია ცემის ანუ ქრისტეს საჯვარის პლატოზე და მოიცავს სასოფლო-სამეურნეო სახნავ-სათესებს, დასახლებებსა და ტყის ლანდშაფტს. აქვეა გაშენებული დასასვენებელი სახლები - „მზიური", ,,განთიადი", რკინიგზის პანსიონატი, თბილისის ,,ჩარხმშენებლის" ყოფილი პიონერთა ბანაკი. ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა 200 კომლია, (თუმცა ბევრი სახლი გამოკეტილია).

ზამთარი ზომიერი, თბილი, იანვრის საშუალო ტემპერატურით - 4,2$^0$C, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 18 გრადუსია. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 2200 საათია, სამკურნალო ფაქტორია შესანიშნავი ჰავა და გარემო. სასუნთქი ორგანოებისათვის.

ისტორიულად სოფელი რამდენიმეჯერ არის დასახლებული სოფლის ცენტრშია ივანე ნათლისმცემელის სახელობის ეკლესია, სამი ქრისტიანული და ერთი მუსლიმანური სასაფლაო.

ეს მხარე XIX საუკუნეში რუსეთის დიდი მთავარის - რომანოვის საკუთრებად იქცა.

ცემის ანუ ქრისტეს საჯვარის პლატოზე. გადის ეგზოტიკური რკინიგზა, რომელიც ,,კუკუშკას" სახელითაა ცნობილი, წაღვერი-ლიბანის მონაკვეთი ყველაზე დახრილია მსოფლიოში. სოფლის სილამაზეს წარმოადგენს მისი მთები, სერები, ხეობები, მღვიმეები, ქვაბურები, სალოცავები, სასმელი წყლები. მისი უნიკალური მშვენებაა ბუნება და ხალხი.

სოფელ ცემიდან კარგად მოჩანს ,,გვირგვინას" მთა, რომელიც ოდესღაც ტყით იყო დაფარული, იგი 1896 წელს ტყის ხანძარმა გაანადგურა. ახლა მისი შემოგარენი ხელოვნურად გაშენებული ნაძვნარ-ფიჭვნარითაა დამშვენებული.

ჩრდილოეთით ნაღვარებია თავდაყირა სამკუთხედივით. ოდესღაც აქ ჯიხვები დანავარდობდნენ, სამხრეთით ლიბნის მთაზე კეთილ კაცს 1927 წელს აივნიანი გადმოსახედი გაუკეთებია და „საოცრება" დაურქმევია, იქიდან ჩვენს თვალწინ იშლება ზღაპრული ლანდშაფტი, რომლის სილამაზის აღწერა და მისი გონებრივად განსაზღვრა ერთი ადამიანისათვის შეუძლებელია, იგი ყველამ უნდა ნახოს და შეიგრძნოს. ქრისტეს საჯვარესთან ახლოს უცნაური ფორმის ფერადი ნაგებობა დგას, რომელსაც ადგილობრივები ,,კარუსელებს" ეძახიან. იგი საქართველოს ფიზიკის და ტექნიკა-მექანიზაციის ინსტიტუტის საცდელი პოლიგონია.

მთელ საქართველოს და კერძოდ, ცემის სიამაყეს წარმოადგენს ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი, ეგზოტიკური რკინიგზა, თავისი ,,კუკუშკა" მატარებლით. მას 121 წელი შეუსრულდა. რკინიგზის განუყოფელ სილამაზეს წარმოადგენს ცემის რკინიგზის ხიდი, რომელიც ნამდვილად ლეგენდარულია, ამავე დროს უნიკალურია და ყველაზე მაღალი სატრანსპორტო ხიდია კავკასიაში.



ხიდის უნიკალურობა იმაში გამოიხატება, რომ იგი შექმნილია საფრანგეთის ინჟინერ ჟ. ეიფელის მიერ, რომელმაც 1889 წელს პარიზში ააშენა „ეიფელის" ცნობილი კოშკი. ე.ი. ჩვენი რკინიგზის ცემის ხიდი „ეიფელის ხიდი" ყოფილა, და რა თქმა უნდა, იგი ეგზოტიკური არის. ახლა ძნელად წარმოსადგენია ბორჯომის ბუნება ურკინიგზოდ და „ეიფელი ხიდის" გარეშე. რკინიგზა შერწყმულია ბუნებასთან და მისი განუყოფელი ნაწილია. ეიფელის კოშკის სიმაღლე 300 მეტრია, ხოლო ტელეანძით 326 მეტრია, ხიდი სიგრძით 95 მეტრია და იწონის ეიფელის კოშკის 1/8-ს. როგორც ამბობენ, კოშკი 9000 ტონას იწონისო. ე.ი. ხიდი საკმაოდ მძიმე ყოფილა.

ცემის ეიფელის ხიდის და რკინიგზის ლეგენდარულობა იმაში გამოიხატება, რომ ამ რკინიგზის მშენებლობაზე აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა მამაპაპებმა, აქაურმა ხალხმა, სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულებმა, წალკელმა ბერძნებმა, ახალქალაქელმა სომხებმა, თურქებმა და მათ შორის ბესარიონ ქებურიამაც, ვინც რკინიგზის და ეიფელის ხიდის მშენებლობაზე უფროს ტექნოლოგად მუშაობდა. ბესარიონ ქებურია გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეა, პატრიოტი და პირველი ქართველი მფრინავი-კონსტრუქტორი იყო. იგი დაიბადა 1870 წელს და გარდაიცვალა 1958 წელს, დაკრძალულია თავის სამშობლოში - ჩხოროწყუში. ბ. ქებურია რკინიგზის მშენებლობას ხელმძღვანელობდა 1898-1906 წლებში, შემდეგ ავიაციით იყო გატაცებული.

ბორჯომ-ბაკურიანის ეგზოტიკური რკინიგზა, ,,ეიფელის ცემის ხიდი", თვალწარმტაცი ბუნება, კლიმატი და ხალხი შერწყმული არიან ერთმანეთში და ძნელად წარმოსადგენია მათი განცალკევება, ისინი უნიკალურნია არიან. ერთადერთი თვალწარმტაცია მსოფლიოში - ცოცხალი მუზეუმი, ცოცხალ მხარეში.

**(გაგრძელება იქნება)**

# ბორჯომის ბუნების ძეგლები

● **ქვაზე ამოსული უთხოვარი:** იგი დიდხნოვანი იშვითი აღნაგობის ხეა. მდებარეობს ბორჯომის რაიონის სოფელ დაბაში - კერძო მოსახლის ნაკვეთში, შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში".

უთხოვარი დასახლებულია კლდიდან მოწყვეტილ ლოდზე, ხნოვანება - 200 წლამდე, სიმაღლე 5 მეტრი, ფესვის ყელთან სიმსხო 37 სმ-ია, ვარჯის პროექცია გ 8 მX6მ. განტოტვა იწყება ფესვის ყელთან, ნაყოფმსხმოიარობს.

საჭიროა ძეგლის შემოღობვა და სათანადი წარწერის გაკეთება.

● **ნაღვარევი:** არის ნიადაგდაცვითი ღია შემაკავებელი თვისებების მქონე ტყისა და დიდი დაქანების ფერდობი. ძეგლად გამოცხადდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წელს 3 დეკემბრის №710 დადგენილებით. მდებარეობს სოფელ დაბაში. საჭიროაწარწერა. აიკრძალოს ხეების და ბუჩქების მოჭრა, საქონლის ძოვება, საფარის დაზიანება, მოხვნა, გზების გაყვანა და სხვა. სამწუხაროდ, ნაღვარევი სერიოზულად დაზიანდა 2008 და 2017 წლებში, ამ ტერიტორიებზე მომხდარი ხანძრების გამო.

**საქართველოს** მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 ივნისის №395 დადგენილებით რაიონში ჭრა აკრძალული ჯიშებია: მუხა, უთხოვარი, (ურთხელა), ბზა, პანტა, უხრავი, დათვის თხილი, იფანი, (კაკლის დარგვა დასაშვებია შენობიდან 10-15 მეტრის დაშორებით), ძელქვა, კევის ხე, მაჟალო.

**საქართველოს** „წითელ წიგნში" ყოფილ სახლნაკრძალში და ეროვნულ პარკში არსებული ხემცენარეები: უთხოვარი, უხრავი, დათვის თხილი, ქართული თხილი, წაბლი, კოლხური და ჩვეულებრივი ჯონჯოლი, მაღალი მთის მუხა, გვლერძა, ქაცვი,



ელიფსური თელა, გარეული ვაზი, შიშველი თელა, ბალახეული „ვინოგრასოვის ზამბახი", ხარისშუბლა, ქართული კოწახური, ბზა, არმაზის შინდა ანწლი, ჩვეულებრივი წაბლი, კაკალი, ბროწეული, კავკასიის კუნელი, ჩვეულებრივი ხურმა, ვიწროფოთოლა ფშატი, ქართული მუხა, სმირნოვის შქერი, უნგერნის შქერი, ჩვეულებრივი ხურმა.

**ცხოველები:** ფოცხვერი, ირემი, შველი, დათვი, მგელი, ცხვირრქოსანი გველგესლა, კავკასიური გველგესლა, კავკასიური სალამანდრა, ჯვრიანა, კალმახი, მწვანე გომბეშო, ჩვეულებრივი გომბეშო, ტბის ბაყაყი, თეთრობის კრაზანა.

**ფრინველები:** კავკასიური არწივი, როჭო, შევარდენი, ველის არწივი, დურაჯი, გნოლი,

**ვულოცავთ!**

ჩემს უმცროს ძმას და ძვირფას მეგობარს, ჩემი უფროსი შვილის უძვირფასეს ნათლიას, დიდებულ პიროვნებას, თავისი საქმის დიდოსტატს, ღირსეული ოჯახის უფროსს, მოამაგე მამას და ბაბუას, ბატონ ომარ გოგოლაძეს ვულოცავთ დაბადებიდან 70 წლისთავის შესრულებას.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობას, ტკბილ სიბერეს, უფლის წყალობას საყვარელ ოჯახის წევრებთან ერთად.

ულრმესი პატივისცემით და სიყვარულით **თემურ ხუხუნაიშვილი.**

# ჯილდო ბათუმის ფესტივალიდან

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროების მხარდაჭერით, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა, საქართველოს თოჯინების პროფესიული თეატრების გაერთიანებასთან ერთად, ბათუმის საერთაშორისო თოჯინების თეატრალური ფესტივალი დააფუძნა, რომელიც წელს პირველად ჩატარდა. ფესტივალი 8 სექტემბერს გაიხსნა და 13 სექტემბერს დაჯილდოების ცერემონიით დაიხურა.**

**ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელები, სახელოვნებო უნივერსიტეტების რექტორები, თეატრმცოდნეები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. ფესტივალის დაჯილდოების ღონისძიებას უძღვებოდა ნიკა წულუკიძე.**

**გამარჯვებულები შვიდ ნომინაციაში გამოვლინდნენ:**





1. საუკეთესო სპექტაკლი – *„მახინჯი იხვის ჭუკი“;*
2. საუკეთესო რეჟისურა – **ნინო მაღლაკელიძე;**
3. საუკეთესო სცენოგრაფია – **ვანო ქორიძე;**
4საუკეთესო მუსიკალური გაფორმება – **სანდრო ნიკოლაძე;**
5. საუკეთესო მსახიობი ქალი – **ირინა კუბანსკი** – *„შეშლილის წერილები“* (რეჟისორი **ლექსო ჩემია**).
6. საუკეთესო მსახიობი ქალი – **თამარ გელაშვილი** – *„შეშლილის წერილები“* (რეჟისორი **ლექსო ჩემია**).
7. საუკეთესო მსახიობი კაცი – **აბელ სოსელია;**
8. ქართული კრიტიკის პრიზი – „80 000 კილომეტრი წყალქვეშ“. კონკურსანტებს აფასებდა საერთაშორისო ჟიური პოლონეთიდან, თურქეთიდან და ყაზახეთიდან.

ფესტივალის პირველ წელს რვა საკონკურსო და ორი არასაკონკურსო ჩვენების ფარგლებში წარმოდგენილი იყო შვიდი თეატრის ათი სპექტაკლი. მომავალში ფესტივალი გაფართოვდება და მოიცავს როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების თეატრალურ დასებს.

გარდა სპექტაკლის ჩვენებისა, ფესტივალი მსახიობებს თავაზობდა მასტერკლასების სერიას: სასცენო მეტყველების სავარჯიშოები; თოჯინების თეატრი – ტრადიციული თურქული ჩრდილების თეატრი – ყაზახეთი; თოჯინების თეატრის დღევანდელი მდგომარეობა აზიასა და ყაზახეთში; ჩვილებისთვის განკუთვნილი სპექტაკლების შექმნა.

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელები არიან ნიკოლოზ საბაშვილი და ირაკლი კიკვაძე. დირექტორები – იმედა თავდგირიძე და კონსტანტინე ქარქაშაძე.

**ფესტივალის ფინანსური მხარდამჭერები: საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო, დეველოპერული კომპანია „ნექსთ გრუპი“ და ბაზის ბანკი.**

**აღსანიშნავია, რომ საუკეთესო მსახიობი ქალის ნომინაციაში გამარჯვებულები ირინა კუბანსკი და თამარ გელაშვილი ბორჯომის პროფესიული თოჯინების თეატრის მსახიობები არიან. რამდენად მოულოდნელი იყო მსახიობებისთვის აღნიშნული ჯილდო, ამასთან დაკავშირებით ვთხოვეთ მათ კომენტარი:**

**ირინა კუბანსკი:** – მართლა არ ველოდებოდი არაფერს, იმიტომ რომ საკმაოდ ღირსეულად წარსდგა თითოეული შემოქმედებითი დასი, უმაგრესი სპექტაკლებით და სიმართლე რომ გითხრათ, ეს იყო ეიფორიული მომენტი, როდესაც ჩემი სახელი და გვარი გამოცხადდა. სამწუხაროდ, მეთოჯინეები ძალიან ცოტა ვართ, რომლებიც შირმის უკან ვდგავართ და მაყურებელი ხშირ შემთხვევაში ვერ ხედავს ამა თუ იმ თოჯინას ვინ ახმოვანებს, ვინ მართავს და ამაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის თითოეულ მსახიობს და როდესაც ამ ყოველივეს აფასებენ სათანადოდ, ეს არის დიდი სიამოვნება და ბედნიერება. კონკრეტულ თოჯინაზე – სოფი, რომელმაც გაიმარჯვა, სამი მსახიობი ვამუშავებთ, **მე თამარ გელაშვილი და გიორგი ჩოჩნიძე.** ეს გამარჯვება კი არის ერთობლივად დასის, მთლიანად თეატრების გაერთიანების. ჩვენ ჩვენი ქალაქის სამსახურში ვართ, გვეამაყება, რომ ბორჯომელები ვართ, გვიყვარს ჩვენი ქალაქი და ჩვენი თეატრი და რა თქმა უნდა, უმთავრესი ,ჩვენი პროფესია.

**თამარ გელაშვილი:** -ნამდვილად მოულოდნელი იყო აღნიშნული ჯილდო და როდესაც დრო გადის და კიდევ მეტად იაზრებ, უფრო მეტად სასიამოვნო შეგრძნება გეუფლება. მითუმეტეს, როდესაც იმ საქმეს აკეთებ რაც გიყვარს, შრომობ შენ სასცენო პარტნიორებთან ერთად, ცდილობ კარგი გამოვიდეს ის, რასაც აკეთებ და ბოლოს გიფასდება ეს ყოველივე, ნამდვილად სასიამოვნო შეგრძნებაა.ასევე რთულია როდესაც ერთ თოჯინაზე სამი მსახიობი მუშაობს. ეს თავისთავად მოითხოვს გუნდურობას, მსახიობებს უნდა ესმოდეთ ერთმანეთის, რათა თოჯინამ სრულყოფილად მოძრაობა შეძლოს. ჩვენი ჯილდოც შესაბამისად ეკუთვნის სამ ადამიანს, ჩემ სასცენო პარტნიორებს ირინა კუბანსკის და გიორგი ჩოჩნიძეს. რაც მთავარია,დიდი მადლობა უნიჭიერეს რეჟისორს ლექსო ჩემიას და ბათუმის ფესტივალს, სადაც მოგვეცა შესაძლებლობა, რომ ღირსეულად წარვმსდგარიყავით მაყურებლის წინაშე. ნამდვილად მნიშვნელოვანია, მსგავსი სახის ფესტივალები თეატრალური საზოგადოებისათვის, ასევე მნიშვნელოვანი და აუცილებელია ერთმანეთის შემოქმედების გაცნობა. კიდევ მეტ წარმატებას ვუსურვებ ჩემ თეატრს.

მოამზადა
**ნატო მელიქიძე.**

# გიწვევთ სალოტბარო სკოლა



- მოსწავლეები უფასოდ შეისწავლიან ქართულ ხალხურ სიმღერასა და ტრადიციულ გალობას.
- სალოტბარო სკოლაში (6 წლიდან) ასაკი შეუზღუდავია.
- მოსწავლეები 15 წლის ასაკიდან ორწლიანი კურსის დამთავრების შემდეგ აიღებენ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის შესაბამის სერტიფიკატს.
- სალოტბარო სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს საშუალება აქვს სწავლა გააგრძელოს გიორგი მთაწმინდელის გლობის უმაღლეს სასწავლებელში, სადაც სწავლა უფასოა.
- სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს

**მისამართი:** ბორჯომი წმ. ნინოს №1

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 577244495



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბორჯომის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ღვაწლმოსილი თანამშრომლის, დოდო არბოლიშვილის გარდაცვალების გამო. უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს, კოლეგებს და სრულიად ბორჯომის საზოგადოებას.**

## პოეზიის კუთხე

# თუ გინდათ, რომ არ ვინაღვლოთ

თუ გინდათ რომ არ ვინაღვლოთ,
არ ვიჯავროთ, არ ვიდარდოთ,
როგორც არ უნდა გაგვიჭირდეს,
უკადრისი არ ვიკადროთ.

მოვუხმოთ ჭკუა-გონებას,
ღმერთის მცნება წავიმძღვაროთ,
სიგლახე, სიკარგით მოვსპოთ,
სიკეთის ქმნით გავიხაროთ.

ეს ჩვენი წუთისოფელი
ვეცადოთ, რომ დიდხანს ვქელოთ,
ყველა ერის, ღვთისნიერის
სალოცავზე სანთლად ვენთოთ.

ვიცოცხლოთ და ვიდღეგრძელოთ
ხალხისდამი გულით, სულით,
რასაც სიკეთით მოიმკი,
ვერ იყიდი ფულით.

გურამ ქუნცელის ბრძნულ აზრებს,
ნუ აუვლით ცივად გვერდსა,
იქნებ, ვის სად გამოგადგეთ,
ვით ნაჯახი მშრომელ გლეხსა.

**გურამ-ქუნცელი-ივანიძე,**
საქართველოს ჟურნალისტთა
შემოქმედებით კავშირის წევრი.

# რკინიგზელთა შეჯიბრი მინი ფეხბურთში

**საქართველოს** რკინიგზელთა პროფკავშირი (თავმჯდომარე **გელა გელაშვილი)** რკინიგზაზე დასაქმებული მშრომელებისათვის მრავალ კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს ატარებს.

ამას წინათ გაიმართა რეგიორალური ჩემპიონატი მინი ფეხბურთში, ხაშურის სარკინიგზო ორგანიზაციებს შორის. შეჯიბრება მეტად საინტერესოდ წარიმართა. მონაწილე გუნდებს თითქმის თანაბარი შესაძლებლობები ქონდათ, მაგრამ, მაინც ყველას სალოკომოტივო დეპომ (თავმჯდომარე **თ. თოფჩიაშვილი)** აჯობა. გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა. მეორე საპრიზო ადგილი წილად ხვდა სავაგონო დეპოს (თავმჯდომარე **გ. ხაჭაპურიძე),** ხოლო მესამე ადგილი ელექტრომომარაგების (თავმჯდომარე **პ. ქალიაშვილი)** გუნდს ხვდა.

გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ თასები, დიპლომები, მედლები და ფულადი ჯილდოები, აგრეთვე ახალი სპორტული ფორმები და ბურთები.

სალოკომოტივო დეპოს გუნდი მონაწილეობას მიიღებს რკინიგზელთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში, რომელიც ქობულეთში გაიმართება.

უახლოეს ხანში პროფკავშირს დაგეგმილი აქვს წყნარი თამაშების (ჭადრაკი, შაში, ნარდი) ჩემპიონატის ჩატარება.

**(ჩვენი კორ.).**

# ტაძრისელებს სპორტული მოედანი ექნებათ



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისში სპორტული მოედნის მოწყობა დასრულების ეტაპზეა.

პროექტის მიხედვით ტერიტორია შემოილობა ლითონის კონსტრუქციით, დამონტაჟდა ფეხბურთის კარი და კალათბურთის ფარი. ასევე დაიგება ხელოვნური საფარი.

სამუშაოებს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული, შპს ჯორჯიან ინვესტი ასრულებს. პროექტზე 349 989 ლარი დაიხარჯება.

აღსანიშნავია, რომ სპორტული სივრცეების შექმნა და ახალგაზრდებისთვის ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა მერიის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „კაარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე